საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 21 ივნისის

დადგენილება №2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებისა და დამატების
შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. შევიდეს ცვლილება სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტში (რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2008 წლის 19 დეკემბრის №61 დადგენილებით) და მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1] “პუნქტი:
   „ფაკულტეტის საბჭოს მიერ უფლებამოსილების განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს აკადემიური საბჭო, გარდა დეკანის არჩევისა და დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნისა“;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე